პრეზიდენტ თომას ს.მონსონის მიერ

შენიშნეთ დალოცვები თქვენს ცხოვებაში

მამაზეციერმა იცის ჩვენი საჭიროებანი და დაგვეხმარება, თუკი თხოვნით მივმართავთ.

ჩემო საყვარელო დებო და ძმებო, კონფერენცია უკვე 49 წელს ითვლის იმ დღიდან, რაც 1963 წლის 4 ოქტომბერს მე მხარი დამიჭირეს თორმეტი მოციქულთა ქვორუმის წევრის როლში. ორმოცდა ცხრა წელი დიდი დროა. მიუხედავად ამისა, თითქოს სულ ცოტა ხანი გავიდა იმ დღიდან, რაც გენერალურ კონფერენციაზე პირველად დავდექი ტაბერნაკალის კათედრასთან სიტყვით გამოსასვლელად.

1963 წ. 4 ოქტომბრიდან ბევრი რამ შეიცვალა. ჩვენ სამყაროს ისტორიის უნიკალურ დროში ვცხოვრობთ. ჩვენ იმდენად დალოცვილნი ვართ! და მაინც, ზოგჯერ ძნელია ხედავდე ჩვენს ირგვლივ პრობლემებსა და თავაშვებულობას და არ დაგწყდეს გული. მე შევნიშნე, რომ ნეგატიურზე ყურადღების გამახვილების ნაცვლად ერთი ნაბიჯით უკან რომ დავიხიოთ და ჩვენს ცხოვრებაში დალოცვებზე ვიფიქროთ, თუნდაც მცირედზეც კი, რომელთაც არაფრად არ ვაგდებთ, ჩვენ უფრო მეტ ბედნიერებას ვიპოვით.

ამ 49 წლის ცხოვრებას რომ გადავხედე, ზოგიერთი აღმოჩენა გავაკეთე. ერთი არის ის, რომ ის უამრავი გამოცდილებები, რომლებიც მივიღე ამ წლების განმავლობაში, ზოგიერთი ადამიანის თვალსაზრისით სულაც არ იყო განსაკუთრებული. ფაქტიურად იმ დროისთვის ისინი ხშირად უმნიშვნელოდ და ჩვეულებრივადაც კი გვეჩვენებოდა. მაგრამ უკან მიხედვისა ჩანს, რომ მათ დალოცეს და გაამდიდრეს სხვების ცხოვრება, მათ შორის ჩემიც. მე გაძლევთ რჩევას გააკეთოთ იგივე - გაიხსენოთ წარსული და მოძებნოთ მასში ყოველი თქვენს მიერ მიღებული დალოცვა, დიდი თუ პატარა.

პირადად მე მსგავსი მიმოხილვის დროს წლების განმავლობაში უფრო და უფრო განმიმტკიცდა ცოდნა იმაზედ, რომ ჩვენს ლოცვებს ღმერთი ისმენს და პასუხობს. ჩვენ ვიცით მორმონის წიგნის 2 ნეფში ნახსენები ჭეშმარიტება: „ადამიანები არსებობენ, რათა განიცადონ სიხარული“[1]. მე ვმოწმობ, რომ ეს სიხარული მეტწილად მოდის მაშინ, როცა გვესმის, რომ ჩვენ შეგვიძლია მამაზეციერს ვესაუბროთ ლოცვაში და რომ ამ ლოცვებს იგი ისმენს და პასუხობს; შეიძლება არა ისე და არა იმ დროს, როგორც ეს ჩვენ გვინდა, მაგრამ აუცილებლად პასუხობს ის, რომელიც ჩვენ გვიცნობს და რომელსაც სრულყოფილი სიყვარულით ვუყვარვართ და სურს ჩვენი ბედნიერება. განა არ შეგვპირდა იგი ჩვენ: „იყავ მორჩილი და უფალი, შენი ღმერთი, ხელს მოგკიდებს და ლოცვებზე პასუხებს გაგცემს“.[2]

ნება მომეცით ჩემთვის განკუთვნილი დროიდან რამოდენიმე წუთი დავუთმო იმ გამოცდილებებს, სადაც ლოცვაზე პასუხი მიმიღია და წარსულში გახედვით ვიტყვი, რომ ამით ჩემი და სხვების ცხოვრებაც დაილოცა. რომ არა ჩემი დღიური, რომელსაც ამ წლების განმავლობაში ვავსებდი, ძნელი იქნებოდა ზოგი მაგალითის გახსენება.

1965 წ. დასაწყისში მე დამავალეს პალოს კონფერენციებზე დასწრება და წყნარი ოკეანის სამხრეთი ნაწილის კუნძულების ზონაში შეკრებების ჩატარება. ეს იყო მსოფლიოს იმ ნაწილში ჩემი პირველი ვიზიტი და ეს დრო არასდროს არ დამავიწყდება. ამ დავალების შესრულებისას, ხელმძღვანელებთან, მრევლთან და მისიონერებთან შეხვედრების დროს უამრავი სულიერი ხასიათის გამოცდილება მივიღე.

შაბათ-კვირას, 20 და 21 თებერვალს, ჩვენ ბრისბანის პალოს კონფერენციის ჩასატარებლად ავსტრალიაში, ბრისბანში ვიმყოფებოდით. შაბათის შეკრებების დროს მე მოსაზღვრე ოლქის პრეზიდენტი გამაცნეს. როცა მას ხელი ჩამოვართვი, ძლიერი გრძნობა დამეუფლა, რომ მისთვის რჩევა უნდა მიმეცა. ვთხოვე ამ მიზნით ის მომდევნო დღეს ჩემთან ერთად კვირის დილის სესიაზე წამოსულიყო.

კვირის სესიის დამთავრების შემდეგ ჩვენ ვისაუბრეთ. შევეხეთ იმას, თუ რამდენი ვალდებულება ჰქონდა დაკისრებული მას, როგორც ოლქის პრეზიდენტს. ამ დროს ვიგრძენი, რომ სპეციალური რჩევა უნდა მიმეცა მისთვის მისიონერულ სამსახურთან დაკავშირებით, თუ როგორ შეეძლო მას და მრევლს დახმარებოდნენ ამ ოლქის სრული დატვირთვის მისიონერებს მათსავე სამუშაოში. მოგვიანებით გავიგე, რომ ეს ადამიანი ლოცულობდა ამ საკითხში დახმარების მიღების თაობაზე. მისთვის ჩვენი შეხვედრა იყო განსაკუთრებული მოწმობა იმისა, რომ მისი ლოცვები ღმერთმა შეისმინა და უპასუხა მათ. ეს იყო თითქოს და უმნიშვნელო შეხვედრა, მაგრამ ერთ-ერთი ისეთი, რომელიც ვიცი, რომ სულიწმინდის კარნახით მოხდა და იმ ოლქის პრეზიდენტის ცხოვრებაში და მსახურებაში ცვლილება მოახდინა. მან ასევე შეცვალა მრევლის ცხოვრება და იმ ოლქის სრული დატვირთვის მისიონერების წარმატებაზეც მოახდინა გავლენა.

დებო და ძმებო, უფლის მიზნები ხშირად სრულდება მაშინ, როცა ჩვენ სულიწმინდის კარნახს ვუგდებთ ყურს. მე მჯერა, რომ, რაც უფრო მეტად ვმოქმედებთ შთაგონებით, მით უფრო გვანდობს უფალი თავის საქმეს.

როგორც უკვე აღვნიშნე, მე შევნიშნე, რომ არასდროს არ უნდა გადადოთ კარნახით მოქმედება. მრავალი წლის წინ იყო შემთხვევა, როცა სოლთ ლეიქ სითის დეზერეტის სავარჯიშო აუზში ვცურავდი და მივიღე შთაგონება წავსულიყავი საუნივერსიტეტო კლინიკაში, ჩემი მეგობრის მოსანახულებლად, რომელიც სიმსივნის გამო ქვემო კიდურებს ვერ ამოძრავებდა. მე იმწუთასვე ამოვედი აუზიდან, ჩავიცვი და ამ კარგი ადამიანის მოსანახულებლად გავემგზავრე.

როცა მის პალატასთან მივედი, ის ცარიელი დამხვდა. გავიკითხე და გავიგე, რომ ის ალბათ კლინიკის საცურაო აუზში იყო, იქ, სადაც ფიზიოთერაპიის სეანსები ტარდებოდა. ასეც იყო: ის ეტლით დამოუკიდებლად წავიდა აუზისკენ და იქ მარტოდ მარტო იმყოფებოდა. ის აუზის ღრმა ნაპირთან იყო. მე მას დავუძახე, მან ეტლი ჩემსკენ მოაბრუნა და მომესალმა. ჩვენ სასიამოვნოდ ვისაუბრეთ და შემდეგ იგი უკან პალატაში მივიყვანე და დავლოცე.

მოგვიანებით გავიგე, რომ იმ დღეს ჩემი მეგობარი დეპრესიაში იყო და თავის მოკვლაზე ფიქრობდა. ის მდგომარეობის შემსუბუქებისთვის ლოცულობდა, მაგრამ ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ ლოცვაზე პასუხს ვერ იღებდა. ის საცურაო აუზზე იმ მიზრით წავიდა, რომ თავისი უბედურებისთვის იქ მოეღო ბოლო; ამიტომაც გაეშურა აუზის ღრმა ნაპირისკენ. მე კრიტიკულ მომენტში მივუსწარი და ვიცი, რომ ეს ზემოდან მოსული შთაგონება იყო.

მას შემდეგ ჩემმა მეგობარმა არა ერთი წელი იცოცხლა. ეს ბედნიერებისა და მადლიერების წლები იყო. რაოდენ ბედნიერი ვარ, რომ იმ დღისით საცურაო აუზზე მე უფლის ხელში იარაღი ვიყავი.

მეორე შემთხვევა: ერთხელ, როცა მე და ჩემი მეუღლე მეგობრების მონახულების შემდეგ სახლში მანქანით ვბრუნდებოდით, მე მივიღე შთაგონება წავსულიყავით მოხუც ქვრივ ქალბატონთან, რომელიც ადრე ჩვენს მეურვეობაში ცხოვრობდა, ეხლა კი ჩვენგან მრავალი კილომეტრის დაშორებით იმყოფებოდა. მას სახელად ზელა თომასი ერქვა. იმ დროს იგი მოხუცებულთა სახლში იმყოფებოდა. იმ დღეს ჩვენ ზელა ძალიან დასუსტებული დაგვხდა. ის მშვიდად საწოლზე იწვა.

ზელა უკვე დიდი ხნის განმავლობაში უსინათლო იყო, მაგრამ ჩვენ იმ წუთასვე ხმაზე გვიცნო. მან დალოცვა მთხოვა, თან დაამატა, რომ ის იმ ქვეყნად წასასვლელად მზად იყო, თუკი უფალს სურდა მისი სახლში დაბრუნება. ოთახში სიმშვიდის სული სუფევდა, ჩვენ ყველამ ვიცოდით, რომ მას, ამ მიწიერ ცხოვრებაში, არც თუ ისე დიდი დრო ჰქონდა დარჩენილი. ზელამ ხელი მომკიდა და მითხრა, რომ მხურვალედ ილოცა იმისთვის, რომ მოვსულიყავი და ის დამელოცა. მე ვუთხარი, რომ ჩვენ მამაზეციერის პირდაპირი შთაგონებით მოვედით. მე მას შუბლზე ვეამბორე და ვიცოდი, რომ ალბათ ვეღარ ვნახავდი. ზუსტად ასეც მოხდა: ის მეორე დღეს გარდაიცვალა. ჩვენი ტკბილი ზელასთვის სიმშვიდისა და ნუგეშის მიცემა დალოცვა იყო როგორც ჩემთვის, ასევე მისთვის.

ვიღაცის ცხოვრებაში დალოცვის შეტანის საშუალება ხშირად მოულოდნელად მოდის. 1983–84 წწ.შაბათის განსაკუთრებულად ცივ ზამთრის ღამეს, მე და და მონსონი მანქანით იუტაში, მიდვეიში მივდიოდით, სადაც იმ დროს სახლი გვქონდა. იმ ღამეს ტემპერატურა -24 ფარენჰაიტის სკალით, ცელსიუსის სკალით კი -31 გრადუსი იყო. ჩვენ გვინდოდა დავრწმუნებულიყავით იმაში, რომ ყველაფერი კარგად იყო. მას შემდეგ, რაც დავინახეთ, რომ ყველაფერი რიგზე იყო უკან, სოლთ ლეიქში წავედით. სულ რამოდენიმე კილომეტრი გავიარეთ, როცა მანქანა მოულოდნელად გაჩერდა. ჩვენ მართლაც რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით.

ისე, როგორც იმ ღამეს მციოდა, მგონი არასდროს არ შემციენია.

ჩვენ უხალისოდ ფეხით გავეშურეთ უახლოეს ქალაქისკენ; მანქანები მიქროდნენ. საბოლოოდ ერთი მანქანა გაჩერდა და ახალგაზრდა მამაკაცმა დახმარება შემოგვთავაზა. როგორც გაირკვა, სიცივის გამო დიზელი ჩვენს მანქანაში შესქელდა და ამიტომაც მანქანა გაჩერდა. ამ კეთილმა ახალგაზრდამ მიდვეიში სახლამდე მიგვიყვანა. მე ვეცადე გადამეხადა მისთვის, მაგრამ მან თავაზიანი უარი გვითხრა. მან გვიამბო, რომ ბოი სკაუტი იყო და კარგი საქმის კეთება სურდა. მე ჩემი თავი წარვუდგინე მას; მან გვითხრა, რომ მოხარული იყო იმის გამო, რომ მიეცა უპირატესობა - დაგვხმარებოდა ჩვენ. ის მისიონერის ასაკში იყო, ამიტომაც ვკითხე, აპირებდა თუ არა მისიაში მსახურებას. მან მიპასუხა, რომ ჯერ ზუსტად არ იცოდა, რისი კეთება უნდოდა ცხოვრებაში.

ორშაბათს მე ამ ახალგაზრდას წერილი მივწერე და სიკეთისთვის მადლობა გადავუხადე. წერილში შევაგულიანე სრული დატვირთვის მისიაში წასულიყო. წერილს თან ერთ-ერთი ჩემი წიგნი დავურთე, სადაც მოვნიშნე ის თავები, რომლებიც მისიონერულ სამსახურს ეთმობოდა.

დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ ამ ახალგაზრდა მამაკაცის დედამ დამირეკა. მან მითხრა, რომ მისი ვაჟი არაჩვეულებრივი ახალგაზრდა იყო, მაგრამ გარკვეული ცხოვრებისეული გავლენის გამო, მისი დიდი ხნის სურვილი-მისიაში მსახურება შემცირდა. ვაჟის დედ-მამა მარხულობდნენ და ლოცულობდნენ იმისთვის, რომ შვილის გული შეცვლილიყო. მათ მისი სახელი იუტას პროვოს ტაძარში ლოცვის სიაში შეიტანეს. ისინი იმედოვნებდნენ, რომ რამენაირად მისი გული სიკეთისკენ შეიცვლებოდა და მას კვლავ გაუჩნდებოდა სურვილი ერთგულად ემსახურა უფლისთვის მისიაში. დედას უნდოდა მცოდნოდა, რომ იმ ცივ ღამით მომხდარი ამბავი მისი ლოცვის პასუხი იყო. მე ვუპასუხე: „გეთანხმებით“.

ჩვენ ამ ახალგაზრდასთან რამოდენიმე თვის განმავლობაში არ ვკარგავდით ურთიერთობას და დაგდა დღე, როცა მე და და მონსონი დიდი სიხარულით გავემგზავრეთ მის მისიასთან დაკავშირებით მოწყობილ გამოსამშვიდობებელ საღამოზე. იგი კანადის ვანკუვერის მისიაში მიემგზავრებოდა.

შემთხვევითი იყო ის, რომ ჩვენი გზები გადაიკვეთა იმ ცივ დეკემბრის ღამეს? ერთი წუთითაც არ დავიჯერებ ამას. მე მჯერა, რომ ჩვენი შეხვედრა იყო მმობლების საყვარელი შვილის გამო გულითადი ლოცვის პასუხი.

და ისევ, ჩემო დებო და ძმებო, ჩვენმა ზეციერმა მამამ იცის ჩვენი საჭიროებანი და იგი დაგვეხმარება, თუ ჩვენ მას ამას ვთხოვთ. მე მჯერა, რომ არც ერთი ჩვენი დარდი არ არის მცირე ან უმნიშვნელო. უფალმა ჩვენი ცხოვრების ყოველი წვრილმანი იცის.

ბოლოს მინდა მოგახსენოთ ერთი ბოლო დროს მომხდარი მოვლენა, რომელმაც ასობით ადამიანზე მოახდინა შთაბეჭდილება. ეს მოხდა ხუთი თვის წინ, კანზას სითის ტაძართან, კულტურათა ზეიმის დროს. ეს იყო ერთ-ერთი ისეთი შემთხვევა, რომელიც ხშირად ხდება ჩვენს ცხოვრებაში და რომელზედაც ჩვენ, როგორც წესი, ვამბობთ: ყველაფერი მოგვარდა. მაგრამ, როგორც შემდეგში შევიტყვე, ტაძრის კურთხევის წინა ღამეს კულტურათა ზეიმთან დაკავშირებით იყო გარკვეული სირთულეები. მე მივხვდი, რომ იმ ღამეს ჩატარებული ზეიმი სულაც არ იყო ჩვეულებრივი. პირიქით, ის ძალზედ გამორჩეული იყო.

როგორც ყოველი კულტურული მოვლენის დროს, რომელიც ტაძრის კურთხევასთან არის დაკავშირებული, კანზას სითის, მისურის ტაძრის ოლქის ახალგაზრდები რეპეტიციაზე იმყოფებოდნენ და ჯგუფებად მეცადინეობდნენ. შაბათს დილით დაგეგმილი იყო მათი ერთობლივი შეხვედრა იჯარით აღებულ დიდ მუნიციპალურ ცენტრში, რათა ენახათ, სად და როგორ უნდა შევიდნენ, სად უნდა იდგნენ, რა მანძილით უნდა იყვნენ ერთმანეთისგან დაშორებულნი, როგორ გამოვიდნენ პირველი სართულიდან და ა.შ. - უამრავი დეტალი, რომელიც მათ უნდა ესწავლათ დღის განმავლობაში იმ დროს, როცა პასუხისმგებელი პირები სხვადასხვა სცენებს დგავდნენ იმისთვის, რომ წარმოდგენა პროფესიონალურ დონეზე შესრულებულიყო.

იმ დღეს ერთი ძირითადი პრობლემა იყო. მთლიანი დადგმა დამოკიდებული იყო წინასწარ ჩაწერილ ნაწვეტებზე, რომლების ჩვენებასაც დიდ ეკრანზე აპირებდნენ (ე.წ. ჯამბოტრონი). ეს ჩაწერილი ნაწყვეტები ძალიან მნიშვნელოვანი იყო მთლიანი დადგმისთვის. ისინი არა მხოლოდ აერთებდნენ ყველა ნაწილს, არამედ ყოველი ვიდეო ნაწყვეტი, შემდეგ ნაწილს წარმოადგენდა. ამ ვიდეო ნაწყვეტებზე მთლიანი დადგმა იყო აგებული. ჯამბოტრონი კი არ მუშაობდა.

ტექნიკური პერსონალი გამალებული მუშაობდა პრობლემის აღმოფხვრაზე იმ დროს, როცა ასობით ახალგაზრდები ლოდინში კარგავდნენ ძვირფას სარეპეტიციო დროს. სიტუაცია გამოუსწორებელი ჩანდა.

სუზან კუპერი, ზეიმის დამდგმელი და დირექტორი, მოგვიანებით ყვებოდა: „როცა ჩვენ ყველაფერი ვცადეთ დავინახეთ, რომ არაფერი არ გამოდიოდა. . . . ცხრილს ვუყურებდით და ვიცოდით, რომ ჩვენს შესაძლებლობებში არ იყო რაიმე შეგვეცვალა, თუმცა ისიც ვიცოდით, რომ დაბლა სართულზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი ძალა იმყოფებოდა - 3 000

ახალგაზრდა. საჭირო იყო დაბლა ჩასვლა და იმის ახსნა, რაც ხდებოდა. ჩვენ მათ რწმენას უნდა დავყრდნობოდით."[3]

მაყურებლის შემოსვლამდე ერთი საათით ადრე 3 000 ახალგაზრდამ დაიჩოქა და ერთად ილოცა. მათ ილოცეს მათთვის, ვინც ჯამბოტრონის შეკეთებაზე მუშაობდა, რათა მათ შთაგონება მიეღოთ და პრობლემა აღმოეფხვრათ; მათ სთხოვეს ზეციერ მამას დახმარება იმაში, რასაც თვითონ დროის სიმცირის გამო ვერ ახერხებდნენ.

პიროვნებამ, რომელიც ეს აღწერა, მოგვიანებით თქვა ასეთი სიტყვები: „ ეს იყო ლოცვა, რომელიც ახალგაზრდებს მუდამ ეხსომებათ. არა იმიტომ, რომ იატაკი ხმელი იყო, არამედ იმიტომ, რომ სული წმინდამ მათ ძვლებშიც კი შეაღწია".[4]

ბევრი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც ტექნიკოსი გამოვიდა მათთან და უთხრა, რომ პრობლემა აღმოაჩინეს და გადაჭრეს. მან პრობლემის მოგვარება „ბედნიერ შემთხვევას" დაუკავშირა, მაგრამ ახალგაზრდებმა უკეთ იცოდნენ, რაშიც იყო საქმე.

როცა იმ საღამოს მუნიციპალურ ცენტრში შევედით, ჩვენ წარმოდგენა არ გვქონდა იმ სირთულეებზე, რომლებიც მათ იმ დღეს ჰქონდათ. ჩვენ ამის შესახებ მხოლოდ მოგვიანებით გავიგეთ. მანამდე კი მხოლოდ უნაკლო, დიდებული დადგმა ვნახეთ, ერთ-ერთი საუკეთესო, რაც კი ცხოვრებაში მინახავს. ახალგაზრდებში ძლიერი სული იგრძნობოდა, რომელსაც ყველა იქ მყოფი გრძნობდა. ისეთი შთაბეჭდილება იყო, რომ მათ ზუსტად იცოდნენ, სად უნდა შესულიყვნენ, დამდგარიყვნენ და რა უნდა გაეკეთებინათ სხვებთან ერთად. როცა გავიგე, რომ მათ რეპეტიციისთვის ნაკლები დრო ჰქონდათ და ნომრების უმრავლესობა მთლიანმა ჯგუფმა ვერ გაიმეორა, ძალზედ გამიკვირდა. ამას ვერავინ ვერ მიხვდებოდა. უფლის ჩარევამ მართლაც დიდი ცვლილება მოახდინა.

მე ყოველთვის გაკვირვებით აღვნიშნავ იმას, თუ როგორ შეუძლია უფალს თავისი სასუფევლის ყოველი ნაწილის ამოქმედება და კონტროლი და ამავე დროს ცალკეული ადამიანების შთაგონება, ან კულტურათა ზეიმის ან ჯამბოტრონის მართვა. ის ფაქტი, რომ მას ეს შეუძლია და ასეც აკეთებს, ჩემთვის მოწმობას წარმოადგენს.

ჩემო დებო და ძმებო, უფალი ჩვენი ცხოვრების ყოველ ნაწილშია. მას ჩვენ ვუყვარვართ. მას სურს ჩვენი დალოცვა. მას სურს, რომ ჩვენ მისგან დახმარებას ვითხოვდეთ. როცა ის წინ მიგვიძღვის და გვხელმძღვანელობს, ისმენს ჩვენს ლოცვებს და პასუხობს მათ, ჩვენ ამ ცხოვრებაში ვიპოვით იმ ბედნიერებას, რომელიც მას სურს ჩვენთვის. დაე ჩვენთვის ნაცნობი იყოს მისი დალოცვები ჩვენს ცხოვრებაში, მე ამაზედ ვლოცულობ ჩვენი მაცხოვრის,იესო ქრისტეს სახელით, ამინ.

შენიშვნები

1. 2 ნეფი 2:25.
2. მოძღვრება და აღთქმები 112:10.
3. სუზან კუპერი, მარინ პროქტორის "Nothing's Too Hard for the Lord: The Kansas City Cultural Celebration," *Meridian Magazine,* მაისი 9, 2012, ldsmag.com.
4. Proctor, *Meridian Magazine,* მაისი 9, 2012.

სადღეისო სწავლება

მეოთხე კვირის მელქიცედეკის მღვდლობისა და მოწყალების საზოგადოების გაკვეთილები უნდა მიეძღვნას „სადღეისო სწავლებას“. ყოველი გაკვეთილი შეიძლება მომზადდეს სულ ბოლოს ჩატარებული გენერალური კონფერენციის მასალების გამოყენებით (იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი). პალოსა და ოლქის პრეზიდენტებს შეუძლიათ თავად აირჩიონ გამოსვლა ან მისცენ ეს დავალება ეპისკოპოსებსა ან მრევლის პრეზიდენტებს. ხელმძღვანელებმა ხაზი უნდა გაუსვან თუ რამდენი მნიშვნელოვანია რომ მელქიცედეკის მღვდლობის ძმებმა და მოწყალების საზოგადოების დებმა შეისწავლონ იგივე გამოსვლები იმავე კვირებს.

მათ, ვინც მეოთხე კვირის გაკვეთილებს ესწრება, უნდა შეისწავლონ და გაკვეთილზე მოიტანონ ჟურნალებში გამოქვეყნებული ბოლო კონფერენციის მასალები.

რჩევები კონფერენციის მასალებით გაკვეთილების მოსამზადებლად

ილოცეთ მასზედ, რომ თქვენი კონფერენციების მასალების შესწავლისა და გადმოცემის დროს, სული წმინდა თქვენთან იმყოფებოდეს. შესაძლოა გაგიჩნდეთ ცდუნება მოამზადოთ გაკვეთილი სხვა მასალების გამოყენებით, მაგრამ კონფერენციის გამოსვლები მოწონებულია სასწავლო პროგრამით. თქვენი დავალებაა დაეხმაროთ სხვებს ისწავლონ სახარება და იცხოვრონ მისი პრინციპების მიხედვით ისე, როგორც ეს გვასწავლეს ეკლესიის ბოლო გენერალურ კონფერენციაზე.

განიხილეთ გამოსვლები, ეძიეთ მათში ის პრინციპები და სწავლებანი, რომლებიც აკმაყოფილებენ მსმენელთა მოთხოვნილებებს. მოიძიეთ მოთხრობები, წმინდა წერილებზე მითითებანი და გამოსვლებიდან ის მტკიცებულებანი, რომლებიც დაგეხმარებათ ამ ჭეშმარიტებების სწავლებაში.

თქვენთვის შეადგინეთ გეგმა, თუ როგორ ასწავლოთ პრინციპები და მოძღვრება. ჩართეთ შეკითხვები, რომლებიც დაეხმარებიან მოწაფეებს:

- გამოსვლებში ეძიონ პრინციპები და სწავლებანი.
- იფიქრონ მათ მნიშვნელობაზე.
- გაუზიარონ სხვებს იდეები, გამოცდილება და დამოწმებანი.
- მოარგონ ეს პინციპები და სწავლებები მათ ცხოვრებას.

თვეები, რომლებშიც გაკვეთილები ტარდება	მეოთხე კვირის გაკვეთილის მასალა
ოქტომბერი 2012–აპრილი 2013	გამოსვლები 2012წ. გენერალურ კონფერენციაზე*
აპრილი 2012–ოქტომბერი 2012	გამოსვლები 2012 წ. აპრილის გენერალურ კონფერენციაზე*

**ეს გამოსვლები ხელმისაწვდომია უამრავ ენაზე ვებ-გვერდზე conference.lds.org.*

© 2012 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი *First Presidency Message, November 2012.* Georgian. 10371 131

პრეზიდენტი დიტერ ფ. უხტდორფი
პირველი პრეზიდენტობის მეორე მრჩეველი

სინანულისა და გადაწყვეტილებების შესახებ

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა, და შესაფერ დროს იმსჯელეთ მასზე თქვენს დებთან, მათთან სტუმრობისას. გამოიყენეთ მოცემული კითხვები, რათა განამტკიცოთ თქვენი დები და გადააქციოთ მოწყალების საზოგადოება თქვენი საკუთარი ცხოვრების აქტიურ ნაწილად. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებგვერდი www.reliefsociety.lds.org.

სინანულის შესახებ

პრეზიდენტო მონსონ, ჩვენ თქვენ გვიყვარხართ. მადლობა თქვენი შთამაგონებელი და ისტორიული განცხადებისათვის მისიონერული მსახურებისა და ახალი ტაძრების მშენებლობის შესახებ. დარწმუნებული ვარ, რომ ამის გამო ჩვენ და მრავალი მომავალი თაობა დიდ დალოცვებს მიიღებს.

ჩემო საყვარელო დებო და ძმებო, ჩემო ძვირფასო მეგობრებო! ჩვენ ყველანი მოკვდავები ვართ. იმედია ეს არავისთვის არ არის ახალი ამბავი.

არც ერთი ჩვენთაგანი არ იცოცხლებს დედამიწაზე ძალიან დიდ ხანს. ჩვენ არც თუ ისე ბევრი ძვირფასი დრო გვაქვს, რომელიც მარადიულობასთან შედარებით თვალის დახამხამების ტოლფასია.

შემდეგ ჩვენ ვტოვებთ აქაურობას. ჩვენი სულები „შინ, ღმერთთან ბრუნდებიან, რომელმაც სიცოცხლე გვაჩუქა“.[1] ჩვენ სხეულებს დავტოვებთ, უკან მოვიტოვებთ ამ ქვეყნის საგნებს და არსებობის ახალ გარემოში გადავალთ.

როცა ახალგაზრდები ვართ გვგონია, რომ მარად ცოცხალნი ვიქნებით. ვფიქრობთ, რომ ჰორიზონტზე უამრავ მზის ამოსვლას ვიხილავთ და მომავალი წარმოგვიდგება, როგორც ჩვენს წინ გადაჭიმული უსასრულო სწორი გზა.

მაგრამ, რაც უფრო გვემატება წლები, მით უფრო გვახასიათებს უკან მოხედვა და გაოცება იმაზედ, თუ რა მოკლე ყოფილა გზა. ჩვენ გვიკვირს, რა მალე გავიდა წლები და ვიწყებთ ფიქრს იმაზე, თუ რა არჩევანი გავაკეთეთ ცხოვრებაში და რა საქციელი ჩავიდინეთ. ამ დროს ვიხსენებთ უამრავ ტკბილ წუთებს, რომლებიც სულს გვითბობენ და გულს გვიხარებს; მაგრამ ჩვენ ასევე ვგრძნობთ სინანულსაც, როცა გვსურს დავბრუნდეთ უკან და გამოვასწოროთ ჩადენილი.

ექთანი, რომელიც სიკვდილის პირას მისულ ადამიანებს უვლის ამბობს, რომ ხშირად ეკითხება პაციენტებს, რომლებიც მზად არიან გამოესალმონ სიცოცხლეს:

„ნანობთ რაიმეს“?[2]

როცა ასე მიუახლოვდები სიცოხლის ბოლო დღეს, ხშირად საღად აზროვნებ, ხედავ პერსპექტივასა და გიუმჯობესდება გამჭრიახობა. ასე რომ, როცა ამ ადამიანებს ეკითხებიან სინანულზე, ისინი გულს გიხსნიან. ფიქრობენ იმაზე, თუ რას შეცვლიდნენ, საათის უკან დატრიალება რომ შეძლებოდათ.

როცა ვფიქრობ იმაზედ, თუ რა თქვეს მათ, ჩემში გაოცებას იწვევს ის, თუ რა სასიკეთო გავლენას მოახდენდა მათზე იესო ქრისტეს სახარების ძირითადი პრინციპები, ისინი რომ ცხოვრებაში გამოეყენებინათ.

სახარების პრინციპებში არ არის არაფერი საიდუმლო. ჩვენ ისინი წმინდა წერილებში შევისწავლეთ, საკვირაო სკოლაში განვიხილეთ, კათედრიდანაც ბევრჯერ მოგვისმენია; ეს ღვთიური პრინციპები და ფასეულობები გასაგებ, პირდაპირია, მშვენიერია, ღრმა, და ძლიერია; მათ შეუძლიათ დაგვეხმარონ თავიდან ავიცილოთ მომავალი სინანული.

ნეტავ მეტი დრო გამეტარებინა საყვარელ ხალხთან

ალბათ ყველაზე საერთო სინანული მომაკვდავ პაციენტებს შორის არის ის, რომ საკმარისი დრო არ დაუთმეს საყვარელ ხალხს.

მამაკაცების უმეტესი ნაწილი ასე მოთქვამს: „ღრმად ვწუხვარ იმის გამო, რომ ცხოვრების უდიდესი ნაწილი . . . სამსახურს დავუთმე“.[3] მრავალმა ადამიანმა არ გამოიყენა იმის შანსი, რომ ოჯახთან ან მეგობრებთან ერთად გაეტარებინა საუკეთესო წუთები. მათ არ გამოიყენეს ღრმა ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობა იმ ადამიანებთან, რომლებიც ასე ბევრს ნიშნავდა მათთვის.

განა არ არის მართალი ის, რომ ჩვენ ხშირად ძალიან დაკავებულები ვართ? და ჩვენდა სამწუხაროდ აღვნიშნავ, რომ ჩვენ დაკავებულობა პატივის რანგშიც კი აგვყავს, თითქოს იყო დაკავებული ნიშნავდეს იმას, რომ ცხოვრების საუკეთესო წესით ცხოვრობ.

განა ეს ასეა?

მე ვფიქრობ ჩვენს უფალზე - მაგალითზე, იესო ქრისტეზე და მის ხანმოკლე სიცოცხლეზე, რომელიც მან გალილეასა და იერუსალიმის მცხოვრებ ხალხთან გაატარა. მე ვეცადე წარმომედგინა იგი შეხვედრებისა და უამრავი აუცილებელი დავალების შესრულების დროს.

მე ეს ვერ შევძელი.

ამის ნაცვლად მე დავინახე მოწყალე და მზრუნველი ძე ღვთისა, რომელიც ყოველ დღეს მიზანმიმართულად ატარებს. როცა ის ადამიანთა შორის იმყოფებოდა, ისინი მის სიყვარულსა და საკუთარ მნიშვნელობას გრძნობდნენ. მან იცოდა ყოველი ადამიანის უსაზღვრო ფასი, ვისაც კი ის ხვდებოდა. ის ლოცავდა მათ, ემსახურებოდა, სულიერად ამაღლებდა და კურნავდა. მან მათ თავისი ძვირფასი დროის ძღვენი უბოძა.

ჩვენს დროში ადვილია უბრალოდ ქმნიდე იმის შთაბეჭდილებას, რომ სხვებთან ატარებ დროს. მაუსის დაწკაპუნებით ჩვენ შეგვიძლია „დავუკავშირდეთ“ათასობით „მეგობარს“ ისე, რომ არც ერთი მათგანი არც დავინახოთ. ტექნოლოგია მშვენიერი რამ არის და ძალიან კარგ საქმეს ემსახურება, როცა საყვარელი ადამიანი შორს გვყავს. მე და ჩემი მეუღლე ჩვენი ძვირფასი ოჯახის წევრებისგან შორს ვცხოვრობთ; ჩვენ ვიცით, რას ნიშნავს ეს. თუმცა მჯერა, რომ ჩვენ, როგორც ინდივიდუალები და მთლიანად, როგორც საზოგადოება არასწორი მიმართულებით მივდივართ, როცა ოჯახის წევრებს ან მეგობრებს ვესაუბრებით ძირითადად იუმორისტული სურათების, ბანალური გამონათქვამების ან ბმულების გადაგზავნით. ალბათ მსგავს რაიმეს თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს, მაგრამ რამდენ დროს ვუთმობთ ამას? თუ ჩვენ ბოლომდე არ ვხარჯავთ საკუთარ თავს და დროს მათთვის, ვინც ნამდვილად მნიშვნელოვანია ჩვენთვის, დადგება დღე, როცა ამას ვინანებთ.

მოდით გადავწყვიტოთ სათუთად მოვექცეთ მათ, ვინც გვიყვარს და გავატაროთ მათთან დრო, ვიყოთ ერთად და ვამრავლოთ ძვირფასი მოგონებები.

ნეტავი ჩემი სრული პოტენციალის რეალიზაცია მომეხდინა!

სხვა სინანული, რომელიც მათ გამოუხატავთ იყო ის, რომ ვერ გახდნენ ისეთი ადამიანები, როგორიც შეეძლოთ და კარგი იქნებოდა, რომ გამხდარიყვნენ. როცა უკან იხედებიან ხვდებიან, რომ არასდროს არ გამოუყენებიათ თავიანთი პოტენციალი, უამრავი სიმღერა არ უმღერიათ.

მე არ ვგულისხმობ კარიერის საფეხურებზე ასვლას. ის კიბე, რაოდენ მაღალიც არ უნდა გეჩვენებოდეთ ამქვეყნად, ვერ გაუტოლდება იმ დიდი მარადიული მოგზაურობის კიბეს, რომელიც წინ გველის, თუნდაც ერთ საფეხურსაც კი.

მე უფრო ვგულისხმობ იმას, რაც ჩაიფიქრა ჩვენთვის ღმერთმა, მამაზეციერმა.

როგორც ერთ-ერთმა პოეტმა თქვა: „დიდების ღრუბლების კვალივით“[4] მოვდივართ ამ ქვეყანად წინა მიწიერი ცხოვრებიდან.

მამა ზეციერი ხედავს ჩვენს რეალურ პოტენციალს. მან იცის ის, რაც ჩვენ არ ვიცით საკუთარ თავზე. იგი გვიბიძგებს ცხოვრებაში შევასრულოთ ჩვენზედ დაკისრებული ნორმა, კარგად ვიცხოვროთ და დავბრუნდეთ მის გარემოცვაში.

მაშინ რატომ ვუთმობთ ამდენ დროს და ენერგიას იმას, რაც ასე ზედაპირულია, მსწრაფ წარმავალი და უშედეგო? ვამბობთ უარს დავინახოთ ბანალური და წარმავალი მოძებნის სისულელე?

განა არ იქნებოდა უფრო ბრძნული „დავიუნჯოთ ცაში, სადაც არც ჩრჩილი და ჟანგი სპობს და სადაც არც ქურდები თხრიან და იპარავენ“?[5]

როგორ ვაკეთებთ ამას? მაცხოვრის მაგალითის გამეორებით, ჩვენს ყოველდრიურ ცხოვრებაში უფლის სწავლებების გამოყენებით, ღმერთისა და მოყვასის ჭეშმარიტი სიყვარულით.

არ შეიძლება მოწაფეობის გზაზე ყოფნისას ამის კეთებისას ფეხი მოვითრიოთ, საათს ვუყუროთ ან ვიწუწუნოთ.

როცა საქმე ეხება სახარების მიხედვით ცხოვრებას, ჩვენ არ უნდა დავემსგავსოთ

ბიჯს, რომელმაც წყალში ფეხის თითი ჩაყო და აცხადებდა, რომ საცურაოდ იყო წასული. ჩვენ, როგორც ღვთის შვილებს, გაცილებით მეტის გაკეთება შეგვიძლია. ამისთვის მხოლოდ სურვილი არ არის საკმარისი. საჭიროა *მოქმედება.* ამაზე კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ *გავხდეთ* ისეთნი, როგორც მამაზეციერს სურს.

კარგია, როცა ხმამაღლა ვაცხადებთ ჩვენს დამოწმებას სახარების შესახებ, მაგრამ უმჯობესია ვიყოთ აღდგენილი სახარების ცოცხალი მაგალითები. კარგია გქონდეს სურვილი იყო აღთქმის მიმართ ერთგული; ფაქტიურად იყო ერთგული წმინდა აღთქმების მიმართ (სათნო ცხოვრებით ცხოვრება, მეათედისა და შემოწირულობების გადახდა, სიბრძნის სიტყვის მიხედვით ცხოვრება და გაჭირვებულების დახმარება) ბევრად უფრო კარგია. იმის გამოცხადება, რომ საოჯახო ლოცვას, წმინდა წერილის შესწავლას, სასარგებლო საოჯახო ღონისძიებების ჩატარებას მეტ დროს დავუთმობთ, კარგია, ყოველივე ამის სტაბილური კეთება ჩვენს ცხოვრებაში ზეციურ დალოცვებს შემოიტანს.

მოწაფეობა არის სიწმინდისა და ბედნიერების გზით სიარული. ეს არის გზა, საკუთარი თავისკენ - უფრო უკეთესი და ბედნიერი ადამიანისკენ.

მოდით გადავწყვიტოთ მივყვეთ მაცხოვარს და ბეჯითად ვიმუშაოთ იმაზედ, რომ გავხდეთ ისეთნი, როგორიც ჩაიფიქრა ჩვენთვის შემოქმედმა. მოდით ვუსმინოთ და დავემორჩილოთ სულიწმინდის კარნახს. როცა ასე ვიქცევით, ზეციური მამა გაგვიმხელს იმას, რასაც ჩვენ თვითონ ვერასდროს ვერ შევიცნობდით საკუთარ თავზე შესახებ. ის გაგვინათებს გზას და თვალს აგვიხელს, რათა დაგვანახოს ჩვენთვის უცნობი ან ფარული ნიჭი.

რაც უფრო მეტად მივუძღვნით საკუთარ თავს ბედნიერებასა და სიწმინდეს, მით უფრო ნაკლები გვექნებასინანულიის შანსი. რაც უფრო მეტად მივენდობით მაცხოვრის მადლს, მით უფრო მეტად ვიგრძნობთ იმას, რომ ჩვენ მივყვებით გზას, რომელიც მამაზეციერმა ჩაიფიქრა ჩვენთვის.

ნეტავ თავი უფრო ბედნიერად მეგრძნო

კიდევ ერთი სინანული მომაკვდავთა შორის გაკვირვებას იწვევს. ისინი ნანობენ იმას, რომ არ მისცეს საკუთარ თავს მეტი ბედნიერების ნება.

ჩვენ ისე ხშირად გვიტაცებს ილუზიები იმაზედ, რომ არსებობს რაღაც ჩვენს მიღმა, რაც ბედნიერებას მოგვიტანს: უკეთესი ოჯახური სიტუაცია, უკეთესი ფინანსური მდგომარეობა, ან რაიმე განსაცდელის დასასრული.

რაც უფრო გვემატება წლები, მით უფრო მეტად ვიხედებით უკან და ვხვდებით, რომ გარე ვითარებას არა აქვს დიდი მნშვნელობა და არ განსაზღვრავს ჩვენს ბედნიერებას.

ჩვენ კი ვართ მნიშვნელოვანნი.*ჩვენ* განვსაზღვრავთ ამ ბედნიერებას.

მე და თქვენ საბოლოო ჯამში პასუხისმგებელნი ვართ საკუთარ ბედნიერებაზე.

მე და ჩემს მეუღლეს, ჰარიეტს, ძალიან გვიყვარს ველოსიპედით სიარული. შესანიშნავია გარეთ გასვლა და ბუნების სილამაზის დათვალიერება. ჩვენ საყვარელი მარშრუტებიც გვაქვს, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით არ ვაქცევთ ყურადღებას იმას, თუ რაოდენ შორს ან რაოდენ ჩქარა მივდივართ.

თუმცა ზოგჯერ მეჩვენება, რომ მეტი შეჯიბრი გვჭირდება. ზოგჯერ ვფიქრობ კიდევაც, რომ შეგვიძლია უფრო კარგი დრო ვაჩვენოთ ან უფრო სწრაფად ვიაროთ, თუკი ამას მოვინდომებთ. ზოგჯერ დიდ შეცდომას ვუშვებ და ამას ჩემს შესანიშნავ მეუღლეს ვეუბნები.

მისი ტიპიური რეაქცია ამისთანა განცხადებების თაობაზე ყოველთვის ძალიან კეთილი, ნათელი და პირდაპირია. ის მიღიმის და მეუბნება: „დიტერ, ეს რბოლა არ არის, ეს მოგზაურობაა. დატკბი ამ მომენტით“.

რამდენად მართალია იგი!

ზოგჯერ ცხოვრებაში ჩვენ იმდენად გადაგვაქვს ყურადღება ფინიშზე, რომ თვითონ მოგზაურობის სიამოვნებას ვკარგავთ. მე მეუღლესთან ერთად იმიტომ კი არ მივდივარ ველოსიპედით სასეირნოდ, რომ ფინიშამდე მისვლა მსურს, არამედ იმიტომ, რომ მასთან ყოფნა სასიამოვნო და სახალისოა.

განა სისულელე არ არის ჩაშალო ტკბილი და სასიხარულო გამოცდილება მხოლოდ იმის გამო, რომ ჩვენ ველით დამთავრების მომენტს?

ვუსმენთ ჩვენ მშვენიერ მუსიკას იმის მოლოდინში, თუ როდის გაიჟღერებს ბოლო ბგერა, და მხოლოდ ამის მერე ნებას ვაძლევთ საკუთარ თავს დავტკბეთ მუსიკით? არა. ჩვენ ვუსმენთ მელოდიას, რითმს და ჰარმონიას მთელი კომპოზიციის განმავლობაში.

ვლოცულობთ ჩვენ მხოლოდ იმისთვის, რომ ბოლოს ვთქვათ ამინ? რა თქმა უნდა, არა. ჩვენ ვლოცულობთ იმისთვის, რომ მამაზეციერს მივუახლოვდეთ, მისი სული მივიღოთ და მისი სიყვარული ვიგრძნოთ.

ჩვენ არ უნდა ველოდეთ იმას, რომ რაღაც ფინიშამდე მივალთ და ბედნიერნი ვიქნებით, რათა მერე მივხდეთ: ბედნიერება უკვე გვაქვს, ის სულ თან გვახლდა! ცხოვრება არ არის იმისთვის, რომ წარსულით იყო მისი მადლობელი. მეფსალმუნე წერს: „ეს არის დღე, რომელიც ქმნა უფალმა . . . ილხინეთ და იმხიარულეთ მასში!“[6]

დებო და ძმებო, მიუხედავად ჩვენი ვითარებისა, სირთულეებისა თუ გაჭირვების, თითოეულ დღეში არის რაღაც, რაც უნდა მივიღოთ და სათუთად გავუფრთხილდეთ. თითოეულ დღეში

არის რაღაც, რასაც ჩვენთვის მადლიერება და სიხარული მოაქვს, თუკი ამას დავინახავთ და დავაფასებთ.

იქნებ ნაკლებად უნდა ვიყურებოდეთ თვალებით და მეტად გულით. მე ძალიან მომწონს ციტატა: „მხოლოდ გული ხედავს კარგად, თვალს არ ძალუძს დაინახოს ის, რაც მთავარია და არსებითი“.[7]

ჩვენ გვიბრძანეს „ყველაფრისთვის მადლიერნი ვიყოთ“.[8] განა უკეთესი არ არის თვალებით და გულით დავინახოთ ის თუნდაც პატარა რამ, რისთვისაც *შეგვიძლია* მადლიერები ვიყოთ და არ გავაზვიადოთ უარყოფითი?

უფალი შეგვპირდა: „ის, ვინც ყველაფერს მადლიერებით მიიღებს, განდიდდება; და მას ასმაგად დაუბრუნდება ყოველი მიწიერი“.[9]

დებო და ძმებო, ჩვენი ზეციერი მამის უთვალავი დალოცვებით, მისი გულუხვი ხსნის გეგმით, აღდგენილი სახარების ღვთაებრივ ჭეშმარიტებითა და სხვა მრავალი მიწიერი მოგზაურობის სილამაზით, განა არა გვაქვს „სიხარულის მიზეზი“?[10]

მოდით გადავწყვიტოთ ვიყოთ ბედნიერნი, მიუხედავად ჩვენი გარემოებისა.

გადაწყვეტილებების თაობაზე

ერთხელ ჩვენ გადავდგავთ იმ გარდაუვალ ნაბიჯს და გადავალთ ამ მიწიერი ცხოვრებიდან მეორე მდგომარეობაში. ერთხელ უკან მოვიხედავთ და ვკითხავთ საკუთარ თავს, შეგვეძლო თუ არა უფრო კარგი ადამიანები ვყოფილიყავით, უფრო კარგი გადაწყვეტილებები მიგვეღო ან უფრო გონივრულად გამოგვეყენებინა დრო.

იმისთვის, რომ არ დავდგეთ მსგავსი სინანულის წინაშე მართებული იქნება დღესვე მივიღოთ ზოგი ერთი გადაწყვეტილება. მ.ა., მოდით:

- გადავწყვიტოთ მეტი დრო გავატაროთ მათთან, ვინც ჩვენ გვიყვარს.
- გადავწყვითოთ, მეტად ვეცადოთ გავხდეთ ისეთნი, როგორც ღმერთს სურს.
- ვითარების მიუხედავად გადავწყვიტოთ, ვიპოვოთ ბედნიერება.

მე ვმოწმობ, რომ შეგვიძლია ხვალინდელი დღის სინანულს ავარიდოთ თავი, თუკი დღეს მივყვებით მხსნელს. თუ შევცოდეთ ან შეცდომა დავუშვით, თუ გავაკეთეთ არჩევანი, რომელზედაც ახლა ვნანობთ, არსებობს ქრისტეს ძვირფასი გამოსყიდვა, რომლის საშუალებითაც ჩვენ პატიების მოპოვება შეგვიძლია. ჩვენ არ შეგვიძლია დროში დაბრუნება და წარსულის შეცვლა, მაგრამ შეგვიძლია მონანიება. მხსნელს შეუძლია მოგვწმინდოს სინანულის ცრემლები[11] და მოგვაცილოს ცოდვების ტვირთი.[12] მისი გამოსყიდვის წყალობით შეგვიძლია უკან მოვიტოვოთ წარსული და სუფთა ხელებით, სუფთა გულით[13] და გადაწყვეტილებით ვიყოთ უკეთესნი და რაც მთავარია სურვილით–გავხდეთ უფრო უკეთესნი,ვიაროთ წინ.

დიახ, ცხოვრება მალე გარბის; დღეები ჩქარა მიქრიან; სიკვდილი ზოგჯერ გვაშინებს. მიუხედავად ამისა, სული აგრძელებს ცხოვრებას და ერთ დღეს გაერთიანდება ჩვენს აღდგენილ სხეულთან მარადიული დიდების მისაღებად. მე საზეიმოდ ვმოწმობ, რომ მოწყალე ქრისტეს გამო ჩვენ ყველანი მოვიპოვებთ მარადიულ ცხოვრებას. დადგება დღე, როცა ჩვენი მხსნელისა და გამომსყიდველის გამო ჩვენ ჭეშმარიტად გავიგებთ და გავიხარებთ სიტყვის მნიშვნელობით: „სიკვდილის კბენა შთაინთქა ქრისტეს მეშვეობით.“[14]

ჩვენი, როგორც მამაზეციერის შვილების ღვთიური დანიშნულებისკენ მიმავალი გზა, მარადიულია. ჩემო ძვირფასო დებო და ძმებო, ძვირფასო მეგობრებო, ჩვენ უნდა დავადგეთ ამ მარადიულ გზას *დღეს;* ჩვენ არც ერთი დღე არ უნდა მივიღოთ ისე, თითქოს ეს ისედაც ასე უნდა იყოს. მე ვლოცულობ იმაზედ, რომ არ დაველოდოთ სიკვდილის პირამდე მისვლას, რათა ვისწავლოთ ცხოვრება. იესო ქრისტეს წმინდა სახელით, ამინ.

შენიშვნები

1. ალმა 40:11.
2. იხილეთ სუზი სტაინერი, “Top Five Regrets of the Dying,” *Guardian,* თებერვალი 1, 2012, www.guardian.co.uk/lifeandstyle/2012/feb/01/top-five-regrets-of-the-dying.
3. ბრონი ვერი, სტაინერის სტატიაში, “Top Five Regrets of the Dying.”
4. “Ode: Intimations of Immortality from Recollections of Early Childhood,” *უილიამ ვუდსვორთის სრულ პოეზიის ნაშრომებში* (1924), 359.
5. მათე 6:20.
6. ფსალმუნი 117:24.
7. ანტუონ დე სეინტ-ეგზიუპერი, *The Little Prince,* თარგმანი: რიჩარდ ჰაუარდ (2000), 63.
8. მოსია 26:39; იხ. ასევე მოძღვრება და აღთქმები 59:7.
9. მოძღვრება და აღქმები 78:19.
10. ალმა 26:35.
11. იხ. გამოცხადება 7:17.
12. იხ. მათე 11:28–30.
13. იხ. ფსალმუნი 24:4.
14. მოსია 16:8; ასევე იხ. 1 კორინთელთა 15:54.

© 2012 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი
Visiting Teaching Message, November 2012. Georgian. 10371 131